ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №56

7 ნოემბერი 2023 წ. ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2
12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე
კომისიის წევრები- ლევან დავითაშვილი, ავთანდილ ცინცაძე, არჩილ გორდულაძე, აკაკი ალადაშვილი, მიხეილ კაკაურიძე.
მოწვეული სტუმრები:
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა
სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.
კომისიის სხდომა უფლებამოსილია.
დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.**საკრ.№15-032330373-03 30/10/23(11-01233033397)**

2. ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების კვარტალური მიმოხილვის შესახებ. **საკრ.№15-032330449-03 31/10/23**

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ

ლევან მიქავას მოხსენებით, პროგრამის „დაავადებათა სკრინინგი" (პროგ/კოდი 06 01 02) იზრდება 200 000 ლარით, თანხსების გადმოტანა ხდება პროგრამიდან „გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება" (პროგ/კოდი 06 01 05) . არნიშნული ცვლილება განპირობებულია ა(ა)იპ ეროვნული სკრინინგ ცენტრის სამედიცინო და კომპიუტერული ტექნიკის განახლების საჭიროებით.

მომხრე-6

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ", სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური ითხოვს მასზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა, უმრავლესობით გადაწყვიტეს:
"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა** საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილის დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

მოისმინეს: ინფორმცაია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების კვარტალური მიმოხილვის შესახებ.

ლევან მიქავას მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 9 თვის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა)

გეგმა განისაზღვრა 1 273,878.4 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 265,286.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის 99.3%

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) 9 თვის გეგმა 1 232,168.4 ათასი ლარი, ფაქტიურად 1 197,343.0 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 97.2% და მთლიანი შემოსულობების 94.6% შეადგინა

გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 692,840.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (675,368.3 ათასი ლარი) 102.6%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი – 656,151.7 ათასი ლარი) შემოსავლები, 94.6%

გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 692,840.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (675,368.3 ათასი ლარი) 102.6%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი – 656,151.7 ათასი ლარი) შემოსავლები, 94.6%

არაფინანსური აქტივების კლება- 5,4% ;ვალდებულებების ზრდა- 0.001%; ფინანსური აქტივების კლება- 0,01% .

შემოსულობების ხვედრითი წილი 2023 წლის 9 თვე 57.9% 22.2% 19.9% შემოსავლები სახეობების მიხედვით 2023 წლის 9 თვე გადასახადები - 692 840,1 ათასი ლარი, გრანტები - 266 308,2 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები - 238 194,7 ათასი ლარი.

მიმდინარე პერიოდში 36,688.4 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად დამატებული ღირებულების გადასახადზე მოდის , მათ შორის: ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 227,975.2 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) - 225,326.3 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია – 987.7 ათასი ლარი, ხოლო მიწის გადასახადიდან - 1,661.2 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი – 212,602.8 ათასი ლარი) შედარებით 15,372.4 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად საწარმოთა ქონების გადასახადზე (გარდა მიწისა) მოდის (2022 წლის 9 თვის ფაქტი - 208,818.6 ათასი ლარი).

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 464,864.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (466,668.3 ათასი ლარი) 99.6%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 443,548.9 ათასი ლარი) შედარებით 21,316.0 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

გრანტები საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 266,308.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (358,869.0 ათასი ლარი) 74.2%-ია.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 197,931.2 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 238,194.7 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 120.3%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი – 167,918.6 ათასი ლარი) შედარებით 70,276.1 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად პროცენტებზე, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელზე, მშენებლობის სანებართვო მოსაკრებელზე, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელზე და სანქციებზე (ჯარიმები და საურავები) მოდის.

2023 წლის 9 თვეში გადასახდელების შესრულების 82%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 3%-ით ნაკლებია, ხოლო თანხობრივ ჭრილში (2022 წლის 9 თვესთან - 981,102.4 ათასი ლარი შედარებით) დახარჯულია 165,397.7 ათასი ლარით მეტი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსებული პრიორიტეტები:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 374,645.9 ათასი ლარით, რაც გეგმის (429,363.2 ათასი ლარი) 87.3%-ია;

ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 150,410.5 ათასი ლარით, რაც გეგმის (206,772.0 ათასი ლარი) 72.7%-ია;

ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 153,711.7 ათასი ლარით, რაც გეგმის (194,339.8 ათასი ლარი) 79.1%-ია;

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 802.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (2,093.6 ათასი ლარი) 38.3%-ია; 51 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 33,125.8 ათასი ლარით, რაც გეგმის (33,745.3 ათასი ლარი) 98.2%-ია;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 107,456.9 ათასი ლარით, რაც გეგმის (115,698.6 ათასი ლარი) 92.9%-ია;

განათლება - 175,221.9 ათასი ლარით, რაც გეგმის (205,281.1 ათასი ლარი) 85.4%- ია; ◘ კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 33,011.9 ათასი ლარით, რაც გეგმის (68,326.7 ათასი ლარი) 48.3%-ია;

საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 4,172.6 ათასი ლარით, რაც გეგმის (5,994.0 ათასი ლარი) 69.6%-ია;

ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 113,940.8 ათასი ლარით, რაც გეგმის (138,740.9 ათასი ლარი) 82.1%-ია.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა ცნობად მიიღეს ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების შესახებ.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე **ირაკლი ხელაძე.**